



თავანო 620. სოც.-დის. კარტის 624-ლის-გარეთ გამოშენებულ გიგანტის.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

დაცი დროის

" NOTRE DRAPEAU "

დამარსებელი — ნოტ უორდანია

№ 97

3 5 6 0 % 0

6 3 0 0 6 0 6 0

1 9 8 1

7 0 6 5 1 6 0

გ. ნაკაშიძე

პავლე საჩქველაძე

პრ. ინწკირველი

პავლე საჩქველაძეს გარდაცვალება.

ოაზა აბნერაშვილი

პავლე საჩქველაძე.

ცისკარი (ლექსი)

მოწოდება

6. უორდანია

დიდი თარიღი

გ. რობაქიძე

ისტორიული წამები.

ლ. ფალავა

საბ. რუსეთული „ერთა მეგობრობა“.

მ. ბ. როგორ უნდა გვესმოდეს ნამდვილი დემოკრატია.

გრ. წერეთელი

საქართველო და რუსეთი.

დამსწრე

1924 წლის ავგანუების დღი.

გაკვრით.

ვ. ჩუბინიძე რაა ხაჭირო, რომ მთლიანობა დავიცვათ.

— საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები და სსვა...





(1899 — 1981)

3 5 3 5 6 6 5 6 3 0 3 0 0 0 0

PAUL SARDJVELADZÉ

ს. ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელ პიუროს თავმჯდომარე

ლახვარიეთ მოხვდა გულს ნიკო ურუშაძისაგან მიღებული ცნობა პავლე სარჯველაძის გარდაცვალების შესახებ.

თავისუფალ საქართველოს დაპყრობის პირებს დღიდანვე პავლე იმ მებრძოლთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლის მიზანია მომხდებრი ძალის განდევნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

დატუსაღებული, ძალით უცხოეთში გადმოსახლებული, ის აქაც განაგრძობს დასახული მიზნის მისახწევად უანგარი სამსახურს.

შრომის მოყვარე, დაუშრეტელი ენერგიის მქონე, განსაკუთრებული პუბლიცისტური ნიჭით დაჯილდოებული, ის ხდება იეტორი აუარებელი პოლიტიკური წერილებისა. ის ეხმაურება ყოველგვარ მოქალაქეს, ყოველგვარ უბედურებას მის სამშობლოში დატრიალებულს. მისი ნაშრომები მძაფრი კრიტიკაა, აშკარა მხილება - გამომზეურებაა ძლევამოსილი, ჩრთილოეთის ბუმბერაზის მზაკვრული ზრახვებისა.

ურყევი რწმენა - იმედით აღსავსე საყვარელი ერის ოცნება - იდეალების საბოლოო გამარჯვებაში. საბრძოლველად ამართებული ბასრი ხმალიერი მისი მკრელი კალამი ხელიდან არასოდეს არ გაუგდია, უცხოეთში აფრიალებული ეროვნული დროშა არასოდეს დაბლა არ დაუხრია!

მის საყვარელ შეილს გიას, მის პარტიულ მეგობრებს, „ჩვენი დროშა - ს“ რედაქციის და ყოველ ქართველ მამულიშეილს ვუცხადებ ჩემს გულწრფელ თანაგრძნობას ძვირფასი მეგობრის, პავლე სარჯველაძის, მოწამებრივი სიკვდილით გამოწვეულს.

გიორგი ნაკაშიძე

პავლე სარჯველიძის დაკარგებით ს. დ. მ. პარტიის და
მთლიანად ქართულ პოლიტიკურმა ემიგრაციამ დიდი და-
ნაკლისი განიცადა.

მიმდინარე წლის 1 ივლისს პაკლე სარჯველაძე, უბე-
დური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ლევილში,
პარიზის ახლოს და დაკრძალული იქნა ლევილის ქართულ
ძმათა სასაფლაოზე, მის გარდაცვლილ მეუღლესთან ერ-
თად.

პავლე სარჯველაძის დაკრძალვის მრავალი ხალხი დაესწორო. დეკანოზმა მამა ილიამ ღვთის მსახურების ჩატარების შემდეგ სიტყვით მიმართა დამწუხრებულ ქართველობას, სადაც გააშუქა პავლე სარჯველაძის სიცოცხლის უკანასკნელ წუთმდე სამშობლოს განთავისუფლებისათვის უანგარო ბრძოლები. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსათვეებს: ქართული სათვისტომოს თავმჯდომარებ ბატონ ვიქტორ ხომერიქმა, და პროკოფი ინწყიორველმა. სათვისტომოს თავმჯდომარებ, სიტყვა წარმოსათვეა ფრანგულად, რაღაც დამსწრეთა შორის იყვნენ ბევრნი უცხოელნი, რომლებსაც თავმჯდომარებ, მის მერძნობიარე და შინაარსიან სიტყვაში გააცნო ჩენ მეგობარ ფრანგებს და სხვა უცხოელებთ გარდაცალებულის მოღვაწეობა, რომ გორც იქ, საქართველოში ისე აქ, უცხოეთში და სამძიმარი გამოუცხადა მის ვაჟს მეუღლეოურთ, და მის ცოლის ძმას ბ - ნ. ირაკლი ჯაფარიძის.

ამს. პროკურორი ინწუკტორების თბილ და მგრძნობიარე
სიტყვით დაემშეიღობა მის ძეველ მეგობარს და პარტიულ
თანამგზაურს. პავლე სარჯველაძემ საცხოვრებლად პარი-
ზი ამოირჩიაო, ხაზი გაუსვა თუ რა წვალება, მძიმე ფიზი-
კური შრომა, რა არ გამოიარა სხვა პოლიტიკურ ლტო-
ლვილებთან ერთად, მაგრამ მისი მთავარი ბრძოლა კულტუ-
რულთვის საქართველოს განთავისუფლებისაკენ იყო შიმარ-
თული. ოღნიშნა თუ როგორ ლირსეულად უძლვებოდა

„ჩვენ დროშა“ - ს რედაქციის, ს. დ. მუშათა პარტიის საზღვარ გარეთელ ბიუროს, რომლის თავმჯდომარე იყო აწ განსევნებული ჩვენი დაუკიშყარი ამხანაგი პაკლე სარჯველაძე.

პ ა ვ ლ ე ს ა რ ჯ ვ ი ლ ა დ ე

ძნელზე, ძნელია მეგობრის დაკარგეა და მასზე წერა, მაგრამ გლოვასთან ერთად საჭიროა თქმა და წერა იმის, თუ ვინ იყო პაკლე და ვინ დაკარგეთ, მერე რა დროს?!

ამ მღელგარე საუკუნეში, რომლის მზგავსი ისტორიას არ ახსოვს. როდესაც ქართველ დევნილთა მებრძოლი ძალები თანდათან მცირდება.

პაკლე უმაღლეს სასწავლებელში არ ყოფილა, მან სწავლა, მიიღო, მეტებში; და აი აქ ემიგრაციაში. ის ტრიალებდა და ახლოს იყო იმ დიდ ადამიანებთან, რომლებმაც დასწერეს, ჩვენი საამაყო კონსტიტუცია, შეჰქერეს ჩვენი ერის სამფეროვანი დროშა. ვინ იყვნენ ისინი? ისინი გახლდათ, ჩვენ მინისტრებთან ერთად: გიორგი გვაზავა, მიშა არსენიდ, დავით შარაშიძე და სხვა მრავალნი. აი სად გაიზარდა პაკლე.

როცა ჩვენ დაგვიდგა კითხეა რა ვქნათ! ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები, ჩვენი პარტიის საზ. გარ. ბიუროს წევრების უმრავლესობა და თეოთ პარტიის დამაარსებელი ბიუროს მუდმივი თავმჯდომარე ნოე ეორდანია აღარ გვყავს. მის მაგიერი კაცი იყო საჭირო. დაევალა გიორგი ერაძეს და ნოე ცინცაძეს, რომ ლირსეული ადამიანი მოენახათ. ითაბირეს და პაკლე სარჯველაძე წარმოგვიდგინეს. ჩვენ ის ერთხმად მივიღეთ.

მის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შრომა და ბრძოლა არ შეუჩერებია, არა მარტო ბიუროსი. ეროვნული საბჭო, რადიო გადაცემები, არქივის საკითხი, გაზეთისა და წიგნების გამოცემა. ყოველივე ეს მოითხოვდა მის ყურადღებას და საჭირო კითხვებზე პასუხის გაცემას..

პავლემ ეს, რომ ღირსეულად შეასრულა ამის მოწამე
ჩევნ ყველანი ვართ. როგორ მოახერხა მან ყოფლივე ეს,
ასე ამაყად, ვალ - მოხდილი შეუერთდა ჩევნს წინაპრებს.
მან იცოდა ჩევნი ქვეყნის ისტორია, იცოდა ათასი
წლის მანძილზე რას სწერდენ, ჩევნი მწერლები, პოეტე-
ბი, საზოგადო მოღვაწეები, რას ნატრობდენ ისინი ჩევნი
ქვეყნისათვის.

პავლე სარჯველაძემ მეორე მსოფლიო ომი, წინ, ჯერ
კიდევ ახალგაზრდამ გამოსცა ლექსთა კრებული ლეის
პირელის ფსევდონიმით, მასვე ეკუთხნის მოთხოვნა
„დანგრეული ოჯახი“ და 1980 წელში გამოსული წიგნი,
„იმედი და აწმენა“, რომელიც შეიცავს მის პოლიტიკური
წერილების კრებულს. მრავალ ფეროვანი იყო მისი მოღ-
ვაწეობა ამ ქვეყნად რომელსაც ის ვალმოხდილი გასცი-
ლდა. მას ისტორია ვერ დაივიწყებს, მარად იქნება
ხსენება მისი.

პრ. ინწკირველი. — 10 - 9 81.

ვ ი ს კ ა რ ი

პავლე სარჯველაძის ნათელ ხსოვნას

განიხენა ლამის სიბნელე,
ზეცა პირს იბანს ქათქათა,
მძლავრობს ალიონს პირიმზე
და ლამობს ჯანლის გაფანტვას.
ნაირფერ გამად იღვრება
ნაკადი მზის, ვერცხლისფერი,
როს ეფინება ნარნარად
კაცთა სამყოფელს, პირთეთრი.
მოგხიბლავს ამაზე მეტად
ზშვენება სხვა მაღლიანი,
ვიდრე დაგატებობს მზის ხილვა,
აისი ნაპერწკლიანი?
არა! ეს ერთად ერთია
გულს მოგიფინოს ნათელი,

მარად თან გვახლდეს მეგზურად
 რწმენა - მედი სანთელი!
 რომ არ კედებოდეს გულის თქმა,
 ვით მაჯისცემა სიცოცხლის:
 ინათებს ზეცა მშეიღობის,
 სილალის კაცურ უფლების.
 რომ მით ძვალ - რბილში ატანდეს
 ყოველი მზის დაბადება,
 პფანტავდეს ღამის დალალებს
 რომ განაბნევდეს უკუნეთს,
 კაცურ ღირსების შემბოჭავს;
 პფანტავდეს ღრუბლებს და ბურუსს,
 სულის და გულის გამჭოლავს.
 რომ ღამეც დღისებრ ნათელი
 გვექნეს ციურთა ღასისგან,
 რწმენა იმედი მომავლის,
 სიმხნეს გვმატებდეს მათ სხვითგან.
 და მაშინ მზეც. მოლივლივი
 ზეციურ ფერთა გამაში,
 გაგვითბობს სულის კუნჭულებს
 გულ - ლალად ვლიდეთ წყვდიაღში.
 მაგისებრ მაშინ ნისლიდან
 ვარსკელავთ კიაფიც თვალს მოგვერის,
 მზენათელს შარავანდს მოჰყენს
 ღიმილი ღამის დედოფლის!

რაზა აბნერაშვილი.

21 ივლისი, 1981 წ. — ბათ — იამი.

ჩვენი იძულებითი ლტოლვილობა უცხოეთში, საქართველოს დაცყრობის ხეისაა. ამ ხეის, ე. ი. 60 წლის განმავლობაში ჩვენმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენი ბრწყინვალე მეთაურების და მორიგი წევრების უმრავლესობა ვალ მოხდილი, ლევილის ძმათ სასაფლაოზე განისვენებენ. შორს, ძალიან შორს უცხოეთში დიდ ტანჯვაში, დასჭირდა და დასრულდა მათი სიცოცხლე. ისინი მოკვდენ განმარტოებით, მათი სული ტანჯვის კოცონზე დაიწვა და ჩაიფერფლა, რაღაც მთელი მათი არსება დადაგა სევდამ უსამართლობისამ, და განშორებისამ, მაგრამ ისინი განშორდნენ ამ ქვეყანას იმ ღრმა რწმენით, რომ ქართველი ერთ არ მიატოვებს თავის სიმართლის ძიებას. თავის უფლების მოთხოვნას და დადგება ის დროც იმ მონობის ბორკილს დაამსხვრევს. რომელიც საქართველოს სირცეების და უბედურებას წარმოადგენს.

დავრჩით მცირე რიცხოვანნი, მაგრამ ვრჩებით შეურიგებელნი. ახლოვდება ჩვენი სიცოცხლის და ასრულიც. ჩვენი უწმინდესი მოვალეობა, ჩვენი ცხოვრების მიწურულში, ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს მოქადალებით, აღტაცებით ვემსახუროთ, ჩვენ საყვარელ სამშობლოს საქმეს, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა ბოლშევიკური რუსეთის ხელით:

არაოდეს ისე აუცილებელი არ ყოფილა ჩვენი ერთობა, ერთად ყოფნა, მუშაობა და ყოველივე უთანხმოების. შეცდომების თუ განსხვავების გამოსწორება - დავიწყება, როგორც დღეს. ჩვენი მიზანია: ერთობა, სიმართლის სამსახური, აღდგენა და მტკიცედ დამყარება იმ თავისუფლების, რომელიც საქართველოს ძალით მოსტაცეს.

ჩვენი სიცოცხლის უმთავრესი საგანია მშობლიური ქვეყნის ბეჭნიერება. დაუღალავი ბრძოლა ყველა იმ დაბრკოლებების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ ქვეყანას თავისუფლების წარმატების გზაზე გადაუღობეს.

ამ შეგნებით და ამ გზით ივლის ჩვენი პარტია, და მისი ორგანო „ჩვენი დროშა“ აქეთკენ მოგიწოდებთ თქვენც.

საქართველოს საზღვარგარეთელი ბიურო და ს. დ. პარტიის პარიზის ორგანიზაცია 1924 წლის აგვისტოს დღად დღეს აჯანყების 57 წლის თავზე უძღვნის აწესდენებულ თავისუფალ საქართველოს პრეზიდენტის ნოე ეკოდანის წერილს. - ოქტომბერი 1930 წელი. -

—[—]—

დ ი დ ი თ ა ხ ი ლ ი

არის თარილი, რომელსაც უკუღმართ ცხოვრის ბრუნვა ვერ წაშლის. ჩაც უფრო შორს მიმდინარეობს ისტორიის მანძილზე, მით უფრო მეტი შარავანდედით შეიმოსება და მომავალ თაობას მეტად სათაყვანებელი ხდება. სწორეთ ასეთია 1924 წლის აჯანყება საქართველოსი. ხალხმა სკადა აღდგომა, მტრის ბორკილთა დამსხვრევა და ის დამარცხდა, მაგრამ ყველა აჯანყება გამარჯვებულა?! ან და ქვეყნად მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც ისტორიის განმავლობაში მწარე დამარცხება არ განუცდია? აჯანყებაში დიდ ძალი მსხვერპლი შეიწირა ვერაგმა მტერმა, საკანუ, უაგონებში გამომწყვდეული მრავალი ათასი და სრულიად უდანაშაულონი გაუგონარი კლუტობით გაულიტა. მაგრამ „ცრუ და მუხთალი სოფელი მოწყივ აეისა მქნელია“ მუდამ ასეთია ბუნება მტარეალთა, თავიანთ სიმხთალეს სისასტკიკით ფარავენ, რაც უფრო მწარეა მტარეალთა მიერ მიყენებული ჭრილობა, მით უფრო დიდია სურვილი მონობის დამხობის და თავისუფლების აღდგენის. დაღმართს აღმართი მოჰყვება, ეს არის კანონი ბუნების, დამარცხებას გამარჯვება, ეს არის კანონი ცხოვრების. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ ქართველი ერი უცხო ბატონობას შეეჩეოდა, შეჩემულ მტერს უნებლიერ შეურიგდებოდა და მის წინაშე ქედს მოიხრიდა, აგვისტოს აჯანყებით ეს ილუზია გაქრა, საუკეთესო მებრძოლთა სისხლმა მტარეალსა და ჩაგროლ ერს შორის აღმართა გარდაუცალი კედელი. 1924 წელს გაწყდა უკანასკნელი

ძაფი და ამოითხარა გაუკალი ორმო გაბატონების მოტრ-ფიალე რუსეთსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს შორის. ქართველმა ერმა 1924 წელს დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია შეუტივდეს მონობას, ავისტო-სექტემბერი, ეს არ არის არა მარტო თარიღი, არამედ რაფიელის „სალი კლდეც“ საიდანაც სჩექფს უკვდავების შადრევანი, მისი ფერი შეინდისაა, როგორც ჩვენი დროშა.

დაიღვარა წმინდა სისხლი სიმბოლო ჩვენი გამარჯვებისა. ნუ ეძებთ მსხვერპლის მეტ - ნაკლებობას ამა თუ იმ კლასის, პარტიის ან პროფესიის მიხედვით, ევ ხომ ული-რის იქნებოდა გათხრილ საფლავთა წინაშე. ქართველ ერს თავისი ახალი ისტორიაც აქვს. ამას უერ წაშლით, ის არის თანამედროვე ერი, თავისი სოციალური ტკივილებით და პოლიტიკური სიმწიფით, ეს იმდენად ბუნებრივია, რომ მეტია შეჩერება. რა არის მაშ სავალდებულო? ერთად ყოფნა, მთელი ჩვენი ფიზიკური და მორალური ძალების შემოკრება, დასახული მიზნის ირგვლივ პარტიათა მთლიანი ეროვნული ფრონტი, სოციალური კიდილი მხოლოდ თავისუფალ საქართველოში. აი რა არის თანამედროვე ერის სიმწიფის მაჩვენებელი. ვართ ჩვენ მომწიფებული? ცხადია ვართ, მიუხედავათ პარტიული სხვა და სხვაობისა ეროვნულად ვართ ქართველნი. ჩვენ გიტრიფით თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, აქედან ჩვენი აღრაცება, ჩვენი გამბედაობა, ჩვენი თავის ბატონ - პატრიონი ჩვენ თვითონ გვინდა ვიყოთ, და ამის განსაკვითრიბელი მაგალითი მოგვცა აგვისტო - სექტემბერშა. 1924 წელი უკვდავია, ის საქართველოს საბოლოო გამარჯვებას ამზადებს..

ნოე უორდანია.

გ რ ი გ ლ ლ რ ი ბ ა შ ი დ ე

ასი წელი გვაშორებს გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღეს პოეტი და დიდი მოაზროვნე იყო ის ადამიანი, რომელმაც იმდერა ქართველი ერის სიამაყენე. აღსავს ნიკით, ტალანტით, ვიცნობთ როგორც დიდ მოაზროვნეს, ირიცხება უკედავთა შორის, რადგან ის იყო ხელოვნების დიდი ქურუმი, რომელიც ამშვენებს დღეს ქართულ ტაძარს, და ჩვენი მწერლობის ერთ - ერთ საუცხოვო სამკაულად ითვლება.

ის ლრმად ჩასწვდა ქართველი ერის წარსულს, შეაფასა აწყო გამოიცნო მომავალი, და დაგვიხატა მის ნაწერებში გაუმეორებელი სილამაზით და ფერ წარუშლელი სიმშვენიერით.

მან ქართულ მწერლობაში შემოიტანა თავისებური სტილი, გამოსცრა ახალი თარგი, მოარგო ქართველი ერის გულს ნათელი ბრწყინვალებით და დიადი პოეზიით.

აღწერა ჯერ იქ საქართველოში, შემდეგ აქ უცხოეთში აღამიანთა მოღვამის დამამშვენარი ქართველი ხალხი, მისი აზროვნების იარალი, ჩვენი მშობლიური ენა, განძი ხალხის კკუის, ზნეობის და სულისა, რითაც მოაჯადოვა, როგორც უცხოელი ისე ქართველი მკითხველი.

აღარ აღირსა დამპყრობელმა სამშობლოზე, გოდებით მლოცვა გრიგოლ რობაქიძეს მისი ქვეყნის ხილვა, იქ განსევნებაც კი, აქ შორეულ უცხოეთში, სამგლოვიაროდ გათხრილ ძმათა სასაფლავოს მიწას მივაბარეთ, იმ იმედით რომ ერთდ ღეს თავისუფალი საქართველო დიდების შარავანდელით მოსილს ჩაიკრავს გულში მის სასახელო შეიღლს.

დასასრულს, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს და მკითხველს ვთავაზობთ შემოკლებით გრიგოლ რობაქიძის „ ისტორიული წამები. “ (25 გიორგობის თვე 1927 წ.) რომელიც შესანიშნავი დამოწმება და ასახვაა ქართველი ერის

სვიანობის, ერთ სულოვნების, ზეალსელის, ეროვნულ ტემპერატურის, გონების, გამჭრიახობის და მომზადების 1917 წლის მღელვარე აბობოქჩებულ ისტორიულ დღეებში.

ი ს ტ რ ი უ ლ ი წ ა მ ე ბ ი

მსოფლიოს მოედეა ომის ცეცხლი, სამყარო იწვის. მიწის პლანეტა ქასის ფრთხებით უფსკრულისაკენ მიექანება. რუსთი წაილო რევოლუციის ქარიშხალმა. ირლვევა საუკუნოებით ნაკედი. იმსხვერევა - ყოველი შემოქმედება გაიყინა. აპოკალიპსის, „მცხრალი ცხენის“ ლანდი თარეშობს. ყოველგან, ყოვლის მხრით უფსკრულია გათხრილი. და აი, ამ „განკითხვის ქამს,“ როცა — საქართველოსაც დაუდგა ბედისწერითი საშინელი კითხვა „ყოფნა არ ყოფნისა“, იგი იჩენს ნამდვილ ვაჟურ ძლიერებას. იუჩქარებელ ქართული სიღინჯით იმართება, იმპულსი ქართული ფიქრით იქცედება; მოლლილი ქართველი ნების ფოლადს ამახვილებს.

ეს მოხდა საქართველოს ეროვნულ ყროლობაზე. ამ ყრილობით დაიწყო ჩეგნი ეროვნული უღელტეხილი.

ყრილობა უთუოდ ატარებდა „სატახტო“ სტილს აკაკი ჩხერიელის შესავალ სიტყვიდან, ნოე ქორდანისა უკანასაკელ სიტყვამდე. აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება, აქ იყო ზომა-შეჩრენილი დიდი ისტორიული პათოსი. ყოველი ეს „გარესახეა“ თითქო, მაგრამ თუ ლრმად შევიცნობთ მას, მის გარეგან სამოსელში მეტად გულისხმიერს „შინა-სახე“-ს დავინახავთ.

დავინახოთ კიდეც ასეთი სახე. ყრილობა დაირაზმა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების ზოლებით, ხოლო, მიუხედავად ამისა, საოცარი ის იყო, რომ მთელი ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. ალარსად სჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, ალარსად ისმოდა საშინელი „შენ - ჩემობა,“ ალარ იყო, შულლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება

მთელისა და ნაწილს შორის, ერთიმეორის გამანალგურებელი განხეთქილება. ექვემდებრი პირებისა და ნამდვილი სიყვარული არა რაღაც განყენებულისა არამედ ჭეშმარიტი, ცოცხალი არსისა. ყრილობამ ამხილა შეუცნობელი სიყვარული საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიყუჩებულ ცეცხლივით ყოფილა მიმალული ჩვენში. საქართველო ალიძართა როგორც დიდი მთელი. იგი დადგა ყოვლის განსაზღვრულების შალღა; იგი გამოცხადდა, როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი. სად იყო პოლიტიკური „დოლმა?“ სად გაპქრა პარტიული „პროგრამა?“ საით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური „ლოზუნგი?“ ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცნეთ, უკანსკნელ წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე „დოლმა“ „პროგრამა“ „ლოზუნგი“. განა „უზანაესი მთელი“, საუკუნოთა შორის ხორციელებული. ჩვენში ალიმართნებ საქართველომ გაარღვია ყოვლი რალი ჩვენ მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა უხილივი, ერთს უსაზღვრო მზეოსან რკალად; საქართველო, არა როგორც ემპირიული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიკური მყობადი.

საქართველო ყოფილი, არსებული, სიყოფელი; ამ ჩეკლმა მოგვიცა, უნდღლიეთ, ყრილობის მონაწილენი და მე. — დაკარგულები ნეტარებით ვიძირებოდით მის თბილს ნირვანში. განვიცადეთ საქართველო მთელი მისი ისტორიული სხეულებით, როგორც ფშავები განიცდის ფესვებს ათასი წლის მუხისას. აენთო ქმედითი ერთსი ჩვენი, და ვიგრძენით მთელი ქართველობა, ვთთ ეროვნული, მჩიდალ საუკუნოთა შორის ხორციელებული. ჩვენში ალიმართნენ წინაპარნი ჩვენი: კეთილშობილნი ჩაინდები, მჩისხანე მახვილებით და მშით - მოსილნი შემომქმედნი გენიალური პროფილებით....

გადაიღახა ყოველივე ზღუდე, დაიმსხრა ყოველი ზღვარი; „მე“ „შენ“ ახლანდელი ეამი და წარსული, დაიმხო ჩვენი უცნაური პერცეპცია: „საქართველო ეს მე ვარ“, მის მაგიერ ჩაისახა სხვა შემეცნება, უფრო სწორი და მართებული: „ჯერ საქართველო და მერე მე“. ნოე

ეორდანიამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით
მხოლოდ ეს ფსხოლოგიური აბბავი დაადასტურა: „აძი-
ერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი.“

ყრილობაზა გაისმოდა ერთი რამ დამაფიქრებელიც;
ყველა იმს მიტეცებდა, რომ საქართველოს თავისუფ-
ლება ნაყოფია რუსეთის რევოლუციისა, ბევრი შესაძ-
ლოა ამ ფორმულას ისე გაიგებს, თითქოს ჩვენ, ჩვენი ძა-
ლებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფ-
ლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი:
რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქარ-
თველო; რამდენი რანდი რევოლუციონური მისცა რუ-
სეთს საქართველომ? რუსეთის რევოლუციის ისტორია
საქართველოს გამორიცხვის გზით არ დაიწერება. ქართ-
ველი, რევოლუციონურია ნების ტემპარემცნტით. დაა-
კვირდით: იმ დროს, როცა რუსეთი რევოლუციდან ანა-
რქიისაკენ მიექანება, საქართველო მთელს ამიერ - კავკა-
სიაში განაგრძობს რევოლუციის ხრგანიზატორულ გზას,
საქართველო რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთ-
ხეა და მაშასადამე „სხვისით არ არის ნაშობი მისი თავი-
სუფლება. და თავი და თავი: ერი, რომელიც ჰქმნის ასეთ
ერთსულოვან ყრილობას. ერი, რომელიც აცხადებს ასეთ
სახელმწიფო შეგნებას, ერი, რომელმც ასეთი ზომით აფო-
ლადებს, — ის ერი — „თავისუფალია“ თვისგნით და მა-
შასადამე, იმ თავითვე თავისუფალი. იგი ასეთ ეამს მხო-
ლოდ უხეშ მონობას იცილებს თავიდგან. საქართველოს
ისტორიაში ახალი ულელტეხილი აღიმართა მზღვისანი. ქა-
რთველმა იხილა სამყოფელი საქართველო. ამიერიდან
საქართველოს არა უშავს რა. მრავალი ქართველი მომსწრე
იმ ისტორიული წუთების იტყვის უთუოდ: „აშ განუტევა
მონა შენი!“

საგვიროთა რუსეთული — „მრთა მეგობრობა“

მეოცე საუკუნე მსოფლიო ისტორიაში, ერთა განმანათვისუფლებელ სახელით შევიდოდა, რომ რუსეთი თავისი დააყრობითი კოლონიალური პოლიტიკით, კომუნიზმის დროშით, ეგრეთ წოდებულ „ერთა თავისუფლების და მეგობრობის“ ლოზუნგით მთელ მსოფლიოს ჰეგემონიაზე არ ოცნებობდეს. ამ ყალბი მოჩვენებითი დროშით, მოსკოვი ფიქრობს დამალოს და მიჩქმალოს მისი იმპერიალისტური ზრაცხები, იმისათვის, რომ სააშვარაოზე იქნეს გამოტანილი კრემლის თვალობაზეცომა. ზეღმეტი არ იქნება გავეცნოთ, თუ ეს უკანასკნელი რა პოლიტიკას აწარმოებს, ამ ნიღაბ ქვეშ საბჭოთა კავშირში „ნებაყოფლობით“ შემავალ ერთა მიმართ და კერძოთ კავკასიაში მცხოვრებ ერებისადმი.

ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა მოკლეთ, ძალიან მოქლეთ გავიხსნოთ, თუ რას წარმოადგენდა კავკასია და ან, როგორ ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე მობინადრე ერები.

ცნობილია, რომ კავკასია გეოგრაფიული ერთეულია, ასე იცნობდენ მას უხსოვარი დროიდან ძველი ანტიკური ქვეყნები. კავკასიის შესახებ მდიდარი მასალებია დაგროვილი ბერძნულ მითოლოგიაში, ბიზანტიურში, სპარსულ-ში და სხვა....

კავკასიაში დასახლებული ერები, უმთავრესად მონათესავები არიან, მათი წინაპრები უხსოვარ დროიდან გადამბული იყვნენ ისტორიული აუცილებლობით, საერთო ქონდათ ცხოვრება, კირი და ლხინი. უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები კიდევ უფრო აღასტურებენ ამ ფაქტს. ჩვენი ისტორიკოსები თავიანთი აღმოჩენებით, აღმოჩენებით, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ კავკასიის მიწაწყალზე ერთი კულტურა იყო, საკმაოდ მაღალი თავის დროის პირობებზე. კავკასიური ენების ნათესაობის მოამავე და დამცველი იყო დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, აგრეთვე დიდი ლეზელი დასდევეს კავკასიის კულტურის აღმოჩენას პიორისკიმ „ვანსკო“ ცარსტვო“ ორბელმა

„ისლედოვანია პო ისტორიი კულტურის ნაროდოვ კავკაზია“ არქეოლოგმა ჩუბინაშვილმა და სხვა....

ძველი საბუთებიდან მისი მიმყოლი დრო მრავალ მასალას იძლევა კავკასიის ერთა ურთი- ერთ დამოკიდებულებაზე. მე V საუკუნიდან წერილობითი საბუთები შომრავლდა, ცხადია წერილობითი საბუთები ქრისტეს წინათაც არსებობდა, რომლებსაც ჩვენამდის არ მოუღწევია, ან დღემდის მიუგნებელია. მე V საუკუნეში იაკობ ხუცესის ცნობით „წამებაი წმიდისა შუშანიკისა.“ საქართველოს ახლო მეზობლური ურთიერთობა და სამხედრო კავშირი ჰქონია სომხებთან. საერთოდ ეს ორი ერთი ისტორიულად ერთად ებრძოდენ საერთო მტერს. ცნობილია ის დიდი ბრძოლები, რომელიც გადაიხადეს ქართველებმა და სომხებმა ანისის დასაცავად. დავით აღმაშენებელის ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებას, სომხური ეკლესიები პარაკლისით შეხედენ. 1205 წელს ქართველებმა და სომხებმა ქალაქი ვანი იიღეს და მოსახლეობა გაახარეს. ყოველივე ამას ერთოდა მეფეთა გვარეულობის ნათესაობა.

სომხეთის სამეფო გვარეულობა და ჩრდილოეთ კავკასიელები ახლო ნათესავებად იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან, ასე გრძელდებოდა კავკასიის ერთა ურთიერთობა მე - 18 საუკუნემდე. ასაკვირელია იყო შემთხვევები, რომ კავკასიის ერები ერთმანეთს დაეჯახენ, ეს იშვიათი სამწუხარო შემთხვევები ხდებოდა დიდი სახელმწიფოების დაპყრობითი მიზნების შედეგად, პოლიტიკური ავანტურისტების შესყიდვით, ასეთი პირები ყოველთვის შეუძლია დამპყრობელმა გამონახოს და შეისყიდოს.

მეთვრამეტე საუკუნიდან მდგომარეობა კავკასიელების სრულიად იცვლება. მეფის რუსეთმა შემოდვა თუ არა ფეხი საქართველოში, სულ მოკლე ხანებში გააუქმა ერეკლე მეფესთან დადებული ტრაქტატი და თავის უპირველეს მიზნად დაისახა, კავკასიაში მობინადრი, ერთა დაყოფა, დაქუცმაცება, დაპირდაპირება, ხელოვნურად შულლის ჩამოგდება, რაც მას გაუადვილებდა ამ ცრებზე ბატონობას, და მის საბოლოო მიზნის მიღწევას, მათ სრულ

რუსითიყაციას. ერთი სიტყვით მისი ლოზუნგი გახდა ცნობილი დებულება „დაყავი და იბატონე“. მეფის რუსეთი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა საქართველოს დასაყოფად, წასაქცევად. ასეთ შემთხვევებსაც პქონდა აღილი, და მეგრელებს საკუთარ ანბანს უქნიდენ, აჭარლებს და ქობულეთლებს თაორებს ეძახდნენ, სდევნიდნენ ქართულ ენას, თუ რუსულ ენას ვერ ფლობდი, რჩებოდი მშიურმწყურვალი და სხვა....

ცხადია ამით საქართველოს სუსტდებოდა. ასეთ ყოფაში იყვნენ სხვა კავ. ერები, მაგრამ მეფის რუსეთმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია, ვერ გასტეხა და ვერ დაარიქა ქართველი ერი.

მსოფლიო პირველ ომს მოჰყევა რუსეთის დამარცხება, და რეოლიურია. კავკასიის ერებმა და ჩვენც მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება. საქართველომ 26 მაის 1918 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, და ფორმად მართველობისა თანახმად ქართველი ერის ნება სურვილისა აირჩია დემოკრატიული რესპუბლიკა. საბჭოთა რუსეთმა სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა სათანადო ხელშეკრულების დადებით, და აი როდესაც ჩენ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ შევაღეთ კარი თავისუფალ ერთა კავშირში, მოსკოვმა მისი გამოუცხადებლად მოგვისია მისი წითელი ჯარები, უთანასწორო ბრძოლაში დაგვამარცხა, მოვეტაცა თავისუფლება და დაგვიპრო, გაგვიუქმა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, მთელი კავკასია კვლავ მოექცა რუსეთის ბრონბის ქვეშ.

მოსკოვი უფრო მძაფრად, უფრო უხეშად, და სიძლიერით აგრძელებს მეფეთა ნაცალ პოლიტიკის, სთესაც შურს კავკასიის ერთა შორის. ანაწილებს და აჩუქებს ერთა ტერიტორიებს მის ნება სურვილის თანახმად, ასწორებს საზღვრებს და ხდის სადაოთ, ხსნის აუარებელ რუსულ სკოლებს, გვისახლებს რუსებს, იდევნება და სურთ შემოილონ ერთი უფროსი ძმის საერთო ენა. აი სინამდვილეში მათებური „ერთა მეგობრობა“ მოსკოვის მიზანი და სურვილია მოაღუნოს, ჩაჰქლას, და წართვეს ერებს ყოველივე წინააღმდეგობის უნარი, რომ აღვილად დააწვინონ ისინი



సాంకేరికాల్పిక మిగిల్దాన్చే, దా క్రీమల్సి గామిప్రథిల్లి బింబురు-
గతా శ్రేలిత అములుండ క్రీచెస్, గుల్లి ఏరోబ్సుల్లి, దా శైశు-
వాలుం రుషుల్లి గుల్లిత, అంచిలుం ఏర్త మతలొం వ్యెల్పికా
రుషుల్ల క్రమశి దా గామిప్రథం రుషుల్లి పూచితిసి అంచిలొ
సాంకేతికా అంచితానొ. మిదిమె దా తీరాలిక్యుల్లి క్రీచెని ఏరొసి
మిఫోమిఏరొంబా, దిండి శెంకిసి మ్యెక్రీటొంబా, దాక్యోర్కెబా, సింజ-
రితెంల్లే దా సింఫింబ్ల్యో సాంకిర్తి, రంధ ఏరిసి సామ్యదామిల్ల అం
క్రీచెచ్చెనొసి మింకింపిసి మింకి గాంచాఫ్రెంబుల్ల సాంకిర్తిశి. రంధం-
రి ఉన్డా ప్యాసి క్రీచెని ఏరొసి తెంలిక్యొంపా, రంధ అం దిండి సంజ-
రితెంబిసి, సాంకేతికా గాంచాశ్వెన్చెబిసిసి తాపి దాంపించిసి? తెంలి-
క్యొంపా అం శెంద్రెబా అంపి సింఫోర్చుల్లించే, అంపి గ్రంథింబెబశే
అంపి సింపుల్లుంబ్లించే దా అంపి స్ట్రోపుల్లుంబ్లించే. తెంలిక్యొంపా ఒంచ-
న్చెబా మింలిండ ఏరొసి నెంట్రేక్సెబశే, దా అంగారింథింబాన్చే,
దా స్థింహేత అం గ్యింట, అం కాంచిత ఉన్డా ప్యాచెసి గాంచాప్రోపిల్లి దా
శేసాంబుల్లుండి, ఇసి రంధుల్లి దా మిదిమె అంపుంబా, రంధమేలింప-
కాప్యూసింబా మింబింబాఫ్రె ఏర్చెబిసి దాంపిల్ల మిసి సాంకిర్తి గ్యా - జ్యా
స్థింహేబ్ మింక్యుంబి.

కింకర్చెల ప్యాపిల్లిసి, అం అంపుంబిసి గామిసాప్యుంబాండ సాంకిర్తిం
స్థింహి దా శైశుమింబాంపి తొంచ్చెచ్చిసి ఎల్లెబా. ఈ అంబిసి తొంచ్చెచ్చి-
చ్చి? ఇసి గ్యా త్రై గ్యింబిసి డాసాంబుల్లి మింబిసి మించ్చెచ్చెవాండ,
మింబానొ సాంకేతికిసి; ఏర్చెబిసి గాంచాప్రోచ్చెబిసింబానొ, సాం-
కేతికిసి: మిసి స్ట్రోపుల్లుంబిసి ఎల్లుంబ్లించే, అమిసింపుసి అంపిల్లు-
ంబుల్లిసి జాప్యాసిసి ఏరొం శెంకిసి బాండ్రుపిల్లి గుల్లుంట్రోపుల్లి గు-
ప్పుబా దాంబుల్లుంబా, దా అం సింపుల్లుం, రంధమేలింపా స్థింహేత
మింక్యుల్లి సింబిసి “ఏరొం మెగంబాంబా” శేఫొర్చెచిత దా సాం-
కేతికిసి. దిండి దా మింబింబా ప్యాంబా, సాంకేతికిసి దా గ్యా-
మానొంబా - జొంబింబామ, మింబానొబామ శ్యాస్కర్చుల్లిసిక్యెన
ఫాంబానొ, మాగురామ అం అం సాంకేతికిసి దాంపించ్చిపా చొంబిల్లి
మింబాబా దా దాంపిల్లుం సింబిల్లి. డిండి మెగంబాంబుల్లిండ ఏరొం
మెగంబిసి శ్యాస్కర్చుల్లి గుల్లుంట్రోపుల్లి, సాంకేతికిసి క్రీచెని గ్యా-
ప్పుబా దాంపిల్లి ప్యాంబా, మింబింబామ మించ్చెచ్చిసి దా శేప్పెచ్చెబిసి ఏరొం
ప్యాంబిల్లి ప్యాంబామెన్చురింబా, దా మింబింబా శేఫొంబుల్లి దిండి
ఏరొంబిల్లి సాంకేతికిసి శేఫొంబాంబామెన్చురింబా, తాంబాస్థింపా శ్యాస్కర్చుల్లి
ఏరొంబుల్లి సాంకేతికిసి శేఫొంబాంబామెన్చురింబా, అంపి దాంపింబా మిం-
బిల్లి దాంపిల్లి సాంకేతికిసి శేఫొంబామెన్చురింబా.

Առմետ, Սայարտացքով և դա կայլա քազասօնա՛՛ մը կոց-
րէծ յրտա նամջովով և գլուխրդուց մը շոմհոնօնա, դա առա
կրեմլու մոյք, ու პորցու պորոնա, հոմելու ու ուսնու մատ
ցածանցեծուսացան, դա ցածաշվեց քազասօնա աղջեցել
ծասւոնաճ.

Ի՞ց ցիշամս և ցայցըրա, հոմ հոսետու միքերու գայթ-
եածա, և ու ի՞ց ամաս ցամծոնտ և ցիշերտ, ի՞ց ցըմպահը-
ծու մեռլու ուստորուսա, հոմելու ցազավլու և ցայլ-
նեածա, հոմ ոչցեն ցուուցու միքերու պո, մացրամ սածոլունու
ուստորուսա ցուքարուցեծի ցածանիշեն և գայթեցեն, ի՞ց ու-
տալունին. Սեցա մը ցանցեծի հոմ առ ցոլաձահայութ, և գայ-
թարտա ցայլանի ցոյրու - տություն միար և արցանինս տո-
րութուն ու ծ ծուրանցուս միքերուս, հոմլու ու ցալուշի-
ցունել Երարուրուսանի միջ ահասուցս առ հաջոռու. ու
ցանիալա և ոնցլուս հաջգա տացու մշոմծուր կանմուլուս
սանցանցեծի. Տցուս ուստորուսուր յանոն, հոմելուս պ
այր ցայցիցու հոսետու, հոմելուս պ ամյամած պիտ մեռլու
յրտու սնարու, յեցնեծու լապշոնօնա, հասաւ ծոլմացուցեմա
տցուտ հոսետու եալեսու տացուսուցլու Շեսթուց. եալես
մոնքան պիտու, տություն հաճաւ չաժոյշառս և յրու ացիո-
մածաւ ցածանցիցուս, մոյլու հոսետու ոցոց ցուեա, Յուտ
ցոյրու սամոնըլու, հոմ ոցու ցեծերուցլա, մացրամ տցուտ
հոսուս եալես անցանցի սանցումլու և ցարուլու տացուս-
ուցլու պ, ցնեծատա ցանչուրուսու ցուելու յրտ ուղու նեցուտ
ամոցահանցեմա, գլուզանցուր բնոմծուլու տցուտ հոսուս եալ-
եսու երլուտ ցանցուրը, և հոսետու մուս ծոնցերու սանց-
ցրեծի հաջցեա. տացուստացաւ ցեսարու, հոմ յաց-
կասունի մը կոցուրը յրէծս, և յերմուտ սայարտացքով հոս-
ուսու եալետան, հոմելու տցուտ ունանցը սածքուտա Ծորա-
նուտ, առայցըրու պիտ սաճառ և սամմարու. հոսետու առ պիտ
արցերուտ նամջուուլու ոնցերեցս, հոմլուս Շետցուսեմա առ
Շեուուցեմուցս յացասուս յրտա ցամույսուր գայթեցելունօնտան.

Ցոլաձահայուն և տանսիստացաւ նոաճացի ցայլա
շուտանեմուրը ացուլաւ ամութիւրը - ու პորոնուտ, հոմ հոս-
ուսետի ալար օնսանցեմս սածքուտա Ծորանու, և մուս ացուուս

დაიკავებს ნამდვილი დემოკრატიული წყობილება, ერები დაკარგულ უფლებას მოიპოვებენ, წართმეულ უფლებას დაიბრუნებენ, და ნამდვილ მეგობრულ ხელს გაუწვდიან დიდ რუსეთის ერს, რაც დაამყარებს ნამდვილ ერთა მეგობრობას, და ნივთიერ კეთილდღეობას.

ლევან ფალავა

როგორ უნდა გვამოიდას ნამდვილი დემო -

პრატიპ.

მეოცე საუკუნე ადამიანის განვითარებისა და ტექნიკის მიღწევათა საუკუნედ გახდა, რაც უწინ ფანტაზიათ მიგვაჩნდა დღეს ის რეალობად შეიქმნა, ხშირად ყოველ დღიურად დიდად საჭირო დებულებათა, არამც თუ ცხოვრებაში გატარება, არამედ მისი სწორედ გაგებაც გვავიწყდება. დემოკრატიზმი — დემოკრატია ეს ხომ ადამიანისა საზოგადოებრივი განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი წყობილების უმაღლესი ცნებაა, მაგრამ დღეს არამც თუ მისი ცხოვრებაში გატარება, არამედ მისი სწორედ გაგება საეჭვო გახდა და ზოგიერთები მას იყენებენ პირადი ინტერესების, პირადი შეხედულებათა იარაღად და ასე გასინჯეთ, რამდენად ქვას არ სროლილობს რომ დაიკირონ, დაატყვევონ და ამ თავიანთ უმსგავსო საქციელს დემოკრატიული წყობილებით ამართლებენ და ფიქრობენ, რომ ყველაფერის უფლება აქვთ. სამწუხაროა რომ, როდესაც ემიგრაციაში ცილისმწამებელი, სხვა და სხვა უდრიოთ და უადგილო სტატიები იბეჭდება, იძულებული ვხდებით მივმართოდ „პასუხისმგებელ“ პირებს. რომლებიც მოკლედ გვიპასუხებენ „რა ვქნათ დემოკრატიამ ასე იცის“ თუ დემოკრატიამ იცის, რომ ეისაც რა უნდა ის თქვას, ეისაც როგორ უნდა ისე გვიგინოს დედმამა ვისაც რა მოუვა თავში ის ბრალდებად წამოიყენოს, ეისაც როგორც უნდა ჩვენი საამაყო საფლავები წაგვიბილწოს

და ვისაც როგორ უნდა ჩვენი ისტორიული სინამდვილე გაგვიყალბოს, მაშინ საინტერესოა ვიკითხოთ რა განსხვავებას ნახულობენ დემოკრატიაში და მახნოვშინაში?

ჩვენის აზრით დემოკრატია საზოგადოებრივი წყობილების უაღრესად განვითარებული საფეხურია, ის უფრო რთული და კომპლექსური მცნებაა, სადაც ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ამ საზღვარის დაძლები თვით ხალხია და არის ხალხის წება ყოფლობის ვამომხატველი. ყველაზე მკაფიო მართმსაჯულება დემოკრატიულია, რადგან მსაჯულები თვით ხალხია, მან არ იცის თუითეულ პიროვნებას რა აქვს თავში, არამედ იცის რა არის საჭირო სად და როდის, რაც ჩვენ პიროვნულად თავში მოგვივა მისი დემოკრატიული ხერხებით გასაღაბა დემოკრატიის სრული უცოდინარობის ნაყოფია და თავის სიმჭახის მაუწყებელია. დემოკრატია როდესაც დემოკრატიულ საზღვრებს გადააცილებს ის ანარქიზმია, სადაც კანონ ზომიერების გარეშე, ყველა იმას აკეთებს რაც მას თავში მოდის. ყველაზედ უახლოესი და სრული განმარტება დემოკრატიისა შემდეგში არის ჩამოყალიბებული:

„დემოკრატია არის ხალხური მართველობის სრული და უმაღლესი ფორმა, სადაც უმრავლესობა განავებს, მაგრამ არ ივიწყებს უმცირესობის ინტერესებს და მას ანგარიშს უწევს“ დემოკრატიამ ისეთი არაფერი იცის რომ ვის რა უნდა ის, ან ვის როგორ უნდა ისე აქეთოს, მან მხოლოდ ის იცის, რომ ხალხს როგორც უნდა ყველაფერი ისე გაკეთდეს. დემოკრატია ხალხის ინტერესების გამომხატველია და მასთან არის შესისხლორცებული, რადგან დემოკრატია სახალხოა, ის ხალხის ინტერესებს გამოხატავს და ისტორიული სინამდვილე მის კერძო საკუთრებას შეადგენს, მისი დამახინჯების უფლება არავის არ აქვს. თავში მოსული აზრები ხალხმა უნდა მიიღოს და რაც მთავარია ის არ უნდა ეწინაღმდეგობოდეს ეროვნულ ინტერესებს და უნდა გამოხატავდეს ხალხის წება სურვილს, როცა ხალხი მას გაიზიარებს და მას მიიღებს, მაშინ ის ხდება დემოკრატიის ელემენტად.

პიროვნულად დაწერილი ან ნათქვამი დებულებები ზოგჯერ სერიოზულიც და ზოგჯერ სულელური, კერძო სულიერი დამშვიდების საგნად რჩება, მითუმეტეს როცა ვინმე აწერდაცელის სტატიას ბეჭდავს და მოწმებათ მკვდრებსა და მკვდარ სულებს ასახელებს, მას უფრო ეკარგება მნიშვნელობა მაშინ როცა იმ ეპოქის მონაწილენი თეოთონ ჩვენ ვართ, რადგან ამ შემთხვევაში ნეიტრალური ხაზის აღება ადამიანში არსებული ეგოიზმის წყალობით ვერ ხერხდება.

კარგი დემოკრატი მდგომარეობის კარგი შემფასებელი უნდა იყოს, ის კარგად უნდა ცენობდეს აუდიტორიას, ერკვეოდეს მომენტებში და შეეძლოს ორჩევა სად რა უნდა გააკეთოს, მაშინ მას შეუძლია წამოაყენოს თავისი დებულება, რომელიც დემოკრატიული წესის თანახმად სხვას ზარალს არ აძლევდეს და შეურაცყოფას არ აყენებდეს, რადგან დემოკრატიაში არავის არა აქცის უფლება სხვის უბედურებაზე თავისი ბელნიერება ააშენოს. ჭორიკანობის გასასაღებლად დემოკრატია არ გამოდგება.

შველაფერი ის რაც პიროვნულად გვსურს. მისი გასაღება დემოკრატიულად შეუძლებელია, ასეთების გზა დემოკრატიაში ძალიან მოკლეა.

აბა რას გაეს ის, რომ დღეს აქვეყნებენ მომენტისათვის შიულებელს, ტაქტიკისათვის უვარგისს, საერთო საქმისათვის საზარალო სტატიებს და ამით ამაყობენ, თუ ასეთი სტატიების დაბეჭდა უნდათ განა არ იციან, რომ საერთო საქმისათვის საზარალოა და მტრებისთვის გასახარელი და ფრიად სასიამოვნო, თუ ასეთ სტრიქონებზე პასუხი გაეცი, გამოიდის შენც მტერს ემსახურები და თუ არაფერი თქვი თავი გამარჯვებული ჰგონია და ბუქნას უკლის თავის გამარჯვებული, რადგან ქვას არ სროლილობს და არ იქცერენ. მაგრამ საზარალო საქმეს ბევრს აკეთებენ.

გაუთავებელი არაფერია. ქართველი ერი მონობიდან თავს დაიხსნის. დაპყრობილი საქართველოს დამპყრობელთა ლაქიები, ან მათ ენაზედ მოლაპარაკეთა ლაქლაქი გათავდება, საქართველოს პირუთენელი ისტორიკოსი

შავსა და თეთრს გამოაჩენს. ორი გზა არ არის ან 26 - მაი-
სი და მისი მონაპოვარი, ან მტრის ბანაკში ყოფნა და მათი
ენით ლაპარაკი.

მ. ბერიშვილი

ს ა ჭ ა რ ი ვ ა ლ ო ღ ა რ უ ს ე თ ი

ქართველები ისტორიის შარა - გზაზე, მუდამ ეროვნულ
მეობას უდარაჯებდით - დავით აღმაშენებელი, თამარ
მეფე, ერეკლე -II - თუ განსვმნებული ნოვ უორდანია, ამ
პისტულას ეყარებოდნენ.... ამ ურყევე ნებისყოფას ასულ-
დგმულებდა, და ამართლებდა ჩვენი ხალხის შინაური ძალა
და იდეალი. დამახასიათებელია, ერთი ცროვნული და პი-
რადულად გამოიტმული აზრი, განწირული სასულიერო
წოდების ხელმძღვანელის სიტყვები: „ეკვდებით რათა
ჩვენი სული ღმერთს შეეწიროთ, გული სამშობლოს, და
ლეში რუსეთის ჯალათებსო“...

გამიგონია როდესაც რუსეთის ჯალათებმა ლრმა ძილ-
ში მყოფი, კეთილშობილი ექიმი სიმონ ჯაფარიძე, დასა-
ხერეტად წამოაყენეს, მან აქარებლად შეიმოსა, და ჯალა-
თებს მიახალა: ვკვდები არა როგორც რუსული „ბოსიაკი“
არამედ, როგორც ლიტერატური მამულიშვილიო.... ამ ჩვენ
ეროვნულ ტრაგედიას ასაზრდოებს, რუსული ერის საი-
მპრიოო ინტერესები, რუსული განციფრების მუდმივი მიღ-
რეკილებანი. თუ ამ უთანასწორო ბრძოლას შევალიერ
ამდენი ენერგია, იმდინ გვაქვს რუსეთის იმპერიის დაშ-
ლის. მოიგონეთ უნგრეთის ეროვნული ტრაგედია, ჩეხო-
სლოვაკიის დაბყრობა, პირველი პოლონური აჯანყება,
ამ უამად იგივე პოლონეთის დიდი მოძრაობა, რომლის შე-
დეგები განუზომელი იქნებან,

1924 წელს საქართველომ პირველად აღმართა აჯან-
ყების დროშა... დღეს ყველა მოაზროვნე ადამიანი ალელ-
ვებით შეხვდა ავღანისტანის დაბყრობის ცდებს.

ნურავინ იფიქტებს, რომ რუსული მუდმივი ტენდეცია შემთხვევით იყოს გამოწვეული... სამაგალითოდ მოვიყანთ ყველა იმპერიების ბედილბალს: სპარსეთის, რომის, ბიზანტიის იმპერია, ნაპოლეონის, ინგლისის, გერმანიის იმპერიის ცდა, ყველანი დაინგრენ საბოლოოთ... იმპერია ეს ნიშნავს ერთი ერის მეორეზე ბატონობას, საბოლოოდ ყოველივე ისტორიული ცდა მარცხით თავდება.... ამ ღოლიერით უდგებით რუსეთის მომავალსაც. რუსეთში არა რუსული ერები სჭარბობენ „ველიკო რუსიას“ არ შეუძლია 15 კულტურული ერის გონიეროვი დამონება — რუსული კულტურა, ყყრდნობა ლენინ - სტალინი, სისხლიან რეჟიმის. რუსული მუეკიური გონიეროვი სიღატაების ნიმუში იყო ხალხთა კონგრესზედ ხრუსჩევის აყროლებული ფეხსაცმელის მაგრაზე დარტყმა, სადაც ყველა განცვით-რებული უცქერდა ამ სურათს.

თვით რუსის ხალხიც ეწამა ამ უსინდისო მართველობის ფორმით, რამაც წარმოშვა „გულაგების“ დამგმობელი ადამიანები, რასაც ჩვენ სიხარულით ვხვდებით.

დასკვნისთვის მინდა ხმამალლა გავიძეორო დიდი ნოე უორდანის სიტყვები: ისტორიული წონასწორობისათვის, რუსეთი უნდა დარჩეს „ველიკო რუსულად“.

აი მებრძოლი ჯარისკაცის, უცხო მიწაზედ ნაფიქრალი 60 წლის მონობის შემდეგ, ეს ის აზრია რასაც ვატარებდით ჭაბუკობის დროს.

გრ. წერეთელი

რაა საჭირო, რომ მთლიანობა უვინახოთ

რომ მთლიანობა შეინარჩუნოს უცხოეთში მყოფმა ეროვნულმა ემიგრაციამ, ის არ უნდა ჩამოშორდეს ჩვენს ქვეყნის ყოველდღიურ საქმიანობას.

ჩვენ აქ არ შეუდგებით განმეორებას იმისა. რაც ბევრ-ჯერ თქმულა და დაწერილა, მხოლოდ ვიტყვით, რომ სანამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშას, ყველასა-

თვის მისაღებს არ ჩამოვაშორებთ იმ საკითხებს, რომელ-
საც პირდაპირი კავშირი არა აქვს დამოუკიდებლობისათ-
ვის ბრძოლისთან, ემიგრაციის გაერთიანება თვით მთავარ
საკითხშიც კი, ვერ გაერთიანდება. პოლემიკა ზოგიერთი
საკითხების გამო კრიტიკა - ბრძოლის სხვა და სხვა მეთო-
დების ხმარების გამო, ნიშანში ამოღება პოლიტიკური პი-
როვნებების ერთი თუ მეორე ბანაკიდან შეიძლება მართ-
ლაც სადაც იყოს, მაგრამ ანგარიშის გასწორების საქმე
უნდა იქნას გადადებული, სანამ ერთ თავის სუვერენობას
საბოლოოდ არ აღადგენს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე-
გობრების ძებნა მათი შეძენის სახით, ორიენტაციის შეც-
ვლად, ან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ღალატად
ჩაეთვალოს ეისმეს. ძევლ პოლიტიკურ მებრძოლებს ასეთი
ბრალდებები, რომლებიც წშირათ მათ წინააღმდეგ ძალიან
ადვილად ისურიან, ვერ დააშინებს, მაგრამ პლიტიკურ
ბრძოლაში და ინტრინგებში გამოუცდელი აზალი თაობა
შესაძლებელია, მართლაც ჩამოაშოროს სწორ გზას და არა
სასურველ ბანაკში გადაისროლოს. საერთოდ ბრალდებე-
ბის წამოყენებას კერძო სა უბარშიდაც კი უნდა ვერიდოთ.

ჩეენ მონაწილენი საქართველოს პოლიტიკური ცხოვ-
რების ახლო წარსულში, ის პოზიციაში იყო თუ ოპოზი-
ციაში, არ შეიძლება იქნეს პირუთვნელი მსაჯული მაში-
ნდელი ეროვნული და საერთაშორისო მდგომარეობის შე-
ფასებისა, ამრტომ ეს საკითხი უნდა მიენდოს საქართვე-
ლოს მომავალ ისტორიუსებს, რომლებიც ნეიტრალურად
შეაფასებენ მაშინდელ ეპოქის მბრუნდას და მართლის, თუ
კველა ჯგუფებმა და მიმდინარეობამ ერთმანეთს დაუპი-
რისიპირდით, ემცვრაციის საქმე წინ ვერ წაიწევს და მისი
ცდაც შეიძლება ფუჭიც იყოს, მთავარია რომ კარდინა-
ლურ საკითხების გადაჭრაში. საკითხების არევა
საქმეს აფუჭებს. ყველას აქვს უფლება, რომ მუშაობდეს
თავისი იდეის და ტრადიციის მიხედვით, რადგან პოზიცი-
ის - ოპოზიციის არსებობა სავალდებულოა, მაგრამ მათი
ინტერესები უნდა იქნეს შეფარდებული ეროვნულ ინტე-
რესებთან და ის უნდა ხდებოდეს ერთი მეორის პატივის-

ప్రేమిత దా అని తాగెంగ్ లాసెమిట, రంమెల్లిప్ ప్రీమి సాజ్మె నుశ్సక్కెబ్స్ డా ఏరొట మ్యూశాంబాస్ క్రోస్ శ్రేష్ఠద్వేబ్స్.

క్రేని సాజ్మె నూత్రెల్లింప్, ప్రైఎల్ ప్రాత్రికొట్ మామ్చుల్లింప్ ప్రెప్పెల్ అంగిల్లింధాన్ డా ప్రైఎల్ మంగ్రమార్చొంబింధాన్ శ్రేష్ఠద్వ్యొల్లింప్ గ్రమాశ్చుర్రోస్ సామ్మంబల్లింప్ గాన్తావొస్సెఫ్లెల్ల్ బొస్ సాజ్మెస్, త్యా వీ డార్హీబ్స్ తాగొస్ ప్రాలొట్రిప్పుర్ చ్చోనొస్ డా ఉప్పుల్ల్ బొస్ మంగ్రమార్చొంబింధాన్ టార్గల్లెబ్స్. రాప్ శ్రేఖ్బెబ్స్, అబొమా తాంబామ్ ఉన్డా సింగంబల్లింప్ క్రైఎల్ తాంబింప్ గామొప్రాల్ల్ బొండింధెబ్స్ డా అబొల్ పొర్రింబెబ్టాన్ శ్రేష్ఠార్ధెబ్స్ గాంగ్రెమ్మెల్లింప్ డాప్ప్రైప్పుల్ సాజ్మిస్ భొల్మంమండి మియ్వాన్. ఉతాన్బమ్మోబ్స్ ప్రాలొట్రిప్పుర్ డాజ్ముప్పెబ్స్ డాతా శొర్సొస్ అన్ అనొస్ క్రేషుల్లెబ్రొవ్చ్ డావ్ మామ్బెబ్స్ డా శ్రేష్ఠెబ్స్“ శొర్సొస్, అబొమ్మెద్ మిగొర్లాప్రొశ్ తాగొస్ అంగిల్లింప్ మిస్ట్రుగ్గెబ్లింధాంబ్ డా కొన్డిసొబ్ క్యొర్మ్ గాంధెబ్స్ నొండాంగ్చ్ డా అనొస్ చ్చాంమండగార్లొ డా ఇపొప్పైబ్స్, రంమ క్రేని క్యొయ్సొస్ తాగొస్సెఫ్లెబ్స్ సాజ్మిస్ గాంగ్రొతించెబ్స్ స్క్రించొ డా డాప్ప్రైప్పుల్ సాజ్మిస్ గాంగ్రెమ్మెల్లెబ్స్ సాజ్మిం. అమిట్రొమ మాత ఏరొట ఏరొటి సాజ్మె క్యెం గాసాక్కెంబెల్లిం. రంమెల్లింప్ ఏరొటి డా ఇగివ్ డానొమ్మెన్చుల్లెబ్స్ క్యెంస్, ప్రైఎల్ తాంబింసాంగొస్ క్రొంటాంబ్స్ డా మిస్టొల్మెబ్స్, సామ్మంబల్లింప్ డామొస్క్రింబెబ్లింధాస్ అండగ్చెన్, అమిస్టొస్ క్రొ, ఏరొట మంఘ్మెబ్స్ అనొస్ సాజ్మిం డా అని ఏరొటిమ్మొర్కొంగ్ గాంధాంత్రొర్కొబ్స్ డా డాపొరొసాపొర్కొబ్స్. అమిట్రొమ రాప్ అన్ ఉన్డా డాగొపొంగ్ డాపొలొంచెబ్స్ మంలొంచెబ్స్ ఉన్డా శ్రేష్ఠినాంకొన్చెన్.

మంటొల్లాశొ గాంగ్రొతించెబ్స్, ఏ పొఱ్పెశ్రుండ గాంగ్రొతించెబ్స్ క్రొ అన్ అనొస్, అబ్ డా ప్రాంతొప్రొి - ప్రాంతొప్రొిస్ గాంగ్మెబ్స్ చ్చాంమాండగ్చెన్, అబొమ్మెద్ ఏరొటిస్ కాలొం సాజ్మార్చొంప్పెల్లింప్ డామొస్క్రింబెబ్లింధాస్ అండగ్చెన్ ఏరొటి ఏరొటిం క్రొ అనొస్ పొఱ్పెశ్రుండ గాంగ్రొతించెబ్స్, సాండాప్ ఇంగ్బెబ్స్ సాజ్మిం క్యొల్లింప్పుల్లిం, ఇపొనొమిప్రొర్ డా ఉంటొంగ్రొంగ్ మెగంబింబిం గాంఘ్మెల్ల్ బొస్. మాగ్చుమ ఇజ్ మెర్కొబ్స్ అన్ ఉన్డా శ్రేష్ఠెబొర్లొస్, రాంగొం మాత శ్రేష్ఠెల్లిం ఇజ్చొ శ్రేష్ఠినాం ఉంటొంగ్రొంగ్ మెగంబింబిం, పొర్రింబెబ్స్.

రాప్ శ్రేఖ్బెబ్స్ సాత్వొసించొమిం, ఏ ఉన్డా డార్హీబ్స్ ఉపొంగ్తొం గాంగ్రొతించెబ్స్, సాండాప్ ఇంగ్బెబ్స్ సాజ్మిం క్యొల్లింప్పుల్లిం, ఇపొనొమిప్రొర్ డా ఉంటొంగ్రొంగ్ మెగంబింబిం గాంఘ్మెల్ల్ బొస్. మాగ్చుమ ఇజ్ మెర్కొబ్స్ అన్ ఉన్డా శ్రేష్ఠెబొర్లొస్, రాంగొం మాత శ్రేష్ఠెల్లిం ఇజ్చొ శ్రేష్ఠినాం ఉంటొంగ్రొంగ్ మెగంబింబిం, పొర్రింబెబ్స్.

3. శ్రుదినింద్రే

[I] = [II]

კიდით - კიდემდე მოელ მსოფლიოში ერთბი იღწვიან იყვნენ თავიანთ სახლში თავის ბატონ -პატრიონი.

დღეს მთელი კაცობრიობის ყურადღებას იპყრობს პოლნეთი და მისი მუშათა კლასის თავადწირული ბრძოლები.

სად ჩამოვთვილოთ პოლონეთის მუშათა, მოსამსახურეთა, და მთლიანად პოლონეთის ერის დაბრიყება, ქელვა და გაქირწყლება მათი კანონიერი უფლებისა? ეს ის ქეთყნაა სადაც მთავრობა იმას ამბობს რაც სურს, რაღან მხოლოდ მას აქვს ლაპარაკის უფლება, ამ შემთხვევაში-დაც მთავრობა ამბობს: „აი კანონი და მას დაემორჩი-ლე“ ქვის გული ჰქონდა პოლონეთის მუშათა კლასს, რომ მისი ორალიკულ მნიშვნელობითი ბეჭი დუმილით აი-ტანა.

აიგსო პოლონეთის მუშათა კლასის მოთმინების ფიალა, დაიღალა იგი ფიზიკურად, სულიერად, და აი იგი აღსდგა გამეფებულ სისტემის წინააღმდეგ. მოითხოვა სიტყვის, კრების, პრესის, და გაფიცების თავისუფლება. მთელი ერთ მათ გვერდში ამოუდგა, რომლის მეთაური გახდა სოლიდარისტების თავისუფალი სინდიკატი 10 მილიონი ჭავრით, რომლის უდაც წამყვანია. საქვეყნოლ ცნობილი მუშა ლეშ ვალეზა.

Հա մշշեցնոյրուս յս մթմատա կլասու, հռմելուց ծհճռլա՛՛նո
ովազը աշխաժլար ծուրհոյրաւուս, ցոնութմուտ ալսացը ծո-
լուցուս, հռմելուց յիշոցը լու մւուլու նացանչու յամշնու-
ծրուրու սկսէրմուս. Յահրտուս մռելուցքն, ամ նազուլուն յեն-
ուղեցն Յահրտուսուս, հռմելուց գոյշիրուս մեռլունդ մուս նոց-
տոյր յետուլալցունծրու. Հա լամանչու Յոլունեցու ხալսու,
հռմելուց ամ յուշուն յահրինուն մարտուրունծրու յամոնի-
րինունդ զուտ իբրեւրա սլուցու դա լիմիցը լու, զուտահրա-
սա մշաւառու սլուցունցու լուցինունդ լիմինահրու դա լիմնու-
գունդը լու. Ախալու օրամունեցն յալնու դա յացրու հյունուն Եղի-
զօնուտ յամոնիցը զուտ օլուրապրեցուս դա մռմեծիծանունծրուս.

ମାତ୍ର ଉପ୍ରସାରିତ ଟାକାରୁଷ୍ଣତାଙ୍କୁ ଦେଖିବାକୁ ପରିହାରିବାକୁ ନାହିଁ ।

მათ აქეთ რწმენა, რადგან ეს სისტემა შერცხვენაა კეთილბილებისა, მათ სჯერათ ლირსება, სიწმინდე, უმანქოება განწყობისა, მათ სჯერათ ლირსება, სიწმინდე, უმანქოება, რადგან მათ ორგვლივ ეს სისტემა ჰფენს სიბინძურეს, ორგულობას, ბორიტებას და გაუტანლობას. მათი სურვილია გასტეხონ, დააქუმაცონ და დაუპირდაპირონ მუშები ერთომეორეს რათა მასზე იმეფონ. მათი მიზანია ისინი მკვდარ სულებად აქციონ, მაგრამ ისინი მაინც ცოცხლობენ და გახდნენ უდიდესი არტისტები ამ დიადი ისტორიის მომენტებისა.

ყველა პოლონელმა იცის, რომ რუსეთი იყო, არის და დარჩა მისი ისტორიული მტერი, რადგან მან იცის, რომ დღევანდელ რუსეთის მართველთა გულში ზის ცნობილი რუსი შოვინისტი კატკოვი, რომელიც ამბობდა: „რუსი უნდა სხაგრავდეს ყოველ სხვა ტომს რუსებთან შემოერთებულს, და გარეთ უნდა ეცადონ მთელი ევროპის გათელვა.“ ჩვენის მხრივ ვიტვით ბოლშევიკები უფრო შორს მიდიან ევროპას კი არა მთელ მსოფლიოს ემუქრებიან.

პოლონელებმა მშვენივრად იციან, რომ წარსულში, ჯერ მეფის დროს და ამ ეამათაც პოლონეთი ერთ ერთი ყველაზე წამებული, შეურაცყოფილი ეროვნებაა, მაგრამ ისინი ამას მაინც იციწყებენ, რუსებს როდი ედავებიან. მაში რა უნდა გრომიკოს პოლონეთში, სადაც ის აცხადებს: „განახლება და დემოკრატიზაცია შეიძლება მაგრამ მოსკოვის მიერ მისალებ ჩარჩოებში“ რ. რას ნიშნავს ეს, უბრალო მუქარას თუ სამხედრო ინტერვენციას? პოლონეთის ნება - სურვილია თავის ოჯახში იცხოვროს წყნარად და თავის თავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით, მისი შინაური საქმეები თვითონ მოაგვაროს, მოსკოვის ჩაურევლად. უნებურად ისმება საყითხი, საბჭოთა რუსეთი გაიმეორებს იმას რაც მან პრაგაში, ან ბუდაპესტში ჩაიდინა? აი დილემა, რაც სამართლიანად აღელვებს მთელ პროგრესიულ კაცობრიობას. ვისურვოთ რომ კრემლი ერთხელ კიდევ არ შეარცხვენს რუსის ხალხს, არ შეეხება ლირსეულ პოლონეთს, რომლის ნება - სურვილია ნამ-

დეილი დემოკრატიული გზით გადასწყვიტოს მისი შინაური საკითხები, რათა პოლონეთი გამოვიდეს იმ კატასტროფიული ექონომიური მდგომარეობიდან, რომელიც ნაყოფია პოლონეთში არსებულ პოლიტიკური სისტემისა.

**

წელს „პლონ“ -ის გამომცემლობამ გამოუშვა ისტორიკოს დ. ვერნერის მეტად საინტერესო წიგნი წითელ არმიის ისტორიაზე.

„ქუმშავადი გრავნილიდან ს. ს. 20 ის სადისტანციო ამფეთქებელ რაკეტამდე“. ვინაიდან დღევანდველ რუსლადა დაძაბულ მდგომარეობაში ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა რუსეთზე, და კერძოთ კი მისი წითელი არმიის ძლევამოსილებაზე, გაუკადნიერდით და ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ძალზე შემოკლებით ზოგიერთი მეტად საინტერესო ადგილები ზემო სენატულ წიგნიდან გავაცნოთ ჩვენს მეითხველებს, მაშ ყური დაუგდოთ წიგნის ავტორს:

„ისტორია გვასწავლის, რომ მთავრობები, რომლებიც მთავარ ყურადღებას არ იქცევენ სამხედრო საკითხებს ქვეყანას მიაქანებენ დალუპვისაკენ“ ამტკიცებს ლენინი, ეს პრინციპი დარჩა უცლელი დღევანდველ საბჭოთა მესაფერებისათვის - თანახმად ს. ი. ა. - ს ცნობებისა 1980 წლის ბიუჯეტმა 50 პროცენტით გადააჭარბა შეერთებულ შტატების ბიუჯეტს. (175 მილიარდი დოლარის ნაცვლად წარსული წლის 115 - სა.) „მუშათა და ვლეხთა“ წითელი არმია აღარ არსებობს, მისი ადგილი 1946 წლიდან დაიკავა საბჭოთა არმიამ, ყველაზე უძლიერესმა მსოფლიოში. იყო დრო განაგრძობს ავტორი, რომ რევოლუციით აღნებული ბოლშევიკები 1917 წელს ფიქრობდენ ჯარის სულ გაუქმებას, და ამტკიცებდნენ რომ მისი არსებობა სრულებით არ იყო საჭირო, სამხედრო ბეგარა ერთ ხანაზე კიდევაც გააუქმეს, რამაც მხოლოდ სამი თვე გასტანა, მათ ძალიან აღრე შეიგნეს მათი შეცდომა, და ტროკიმ სულ რამდენიმე თვეში შესძლო ჯარის ჩამოყალიბება. 1918 წლის ოქტომბრის 1920 წლამდე ჯარის რიცხვი 200

ათას კაციდან ხუთ მილიონ კაცამდე ავიდა, რომლებიც სიიმედოდ და სულ გაწირთვნილნი იყვნენ ყოველ იმპერიის მიერ. წითელმა ჯარმა შესანიშნავად შეასრულა თავისი ამოცანა. სამძქალაქო ომში ის გამოვიდა გამარჯვებული, დამარცხა დენიკინი, ერანგელი, კოლჩაკი, ჩეხების ლეგიონები და სხვა. 1931 წლიდან აიღო რა ხელმძღვანელობა ტუხაჩევსკიმ ის გახდა იმ დროისათვის პირველთაგანი, მაგრამ სტალინმა განსაჯა, რომ ჯარსა და პარტიას შორის ხდება დაშორება, იწყება „წმენდა“ და ხერეტა ყველა მეთაურებისა, დარჩი ჯარი თავ მოკვეთილი. 1941 წელს ჯარი ადვილად მარტინება გერმანელების მიერ, ვერ უძლებს ამ უკანასკნელთა შემოტევებს და სტალინი იძულებულია ზოგიერთი, შემთხვევით სიკვდილს გადარჩენილნი, მაგრამ სანდო გენერლები ციხიდან გამოიყვანოს და სარდლობა ჩააბაროს.

1953 წლიდან რუსეთი თავის არსენალს ატომიური ბომბებით ავსებს და არ დაგვავიწყდეს განაგრძობს ვერნერი, რომ საბჭოთა ტერიტორიაზე მოთავსებული ს. ს. 20 - შეუძლიან რამოდენიმე წამში ქალაქ ბრესტის თავზედ იყოს, მისთვის საბჭოთა შეიარაღება ბევრად სჭარბობს ამერიკელებისას. საბჭოთა სამხედრო მრჩევლები იმყოფებიან დედამიწის ყოველ კუთხეში, მათი ფლოტი არის უაღრესად ძლიერი, შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე მიდის აზიის სამხრეთ - აღმოსავლეთამდე, მისი მეთაურია მარშალი დიმიტრი უსტინოვი, რომელიც ატარებს გენერალ - სმუსის ტიტულს, რომელიც არასდროს არავისათვის არ მიუნიჭებიათ, გარდა სუვოროვისა და სტალინისას, რომელიც დიდი მნიშვნელოვანი მოვლენააო.

საბჭოთა ჯარების რიცხვი უცვლელად ოთხი მილიონია, ჯარისკაცის მდგომარეობა მძიმე და ძნელია. დისციპლინა რკინის, ვარჯიში შეუწყვეტელი, ჯარისკაცის კარგად აცვი, მაგრამ კვება ცუდია, რასაც ჯარისკაცი ადვილად ურიგდება. ოფიცირობა ახალგაზრდა და მრავალი, რომლებსაც აქვთ კარგი ხელფასი, და მრავალი დახმარებები. უმაღლეს - სარდლობის წევრები ხანში შესულნი არიან 71 - 73 წლიანი მეთაურები მრავლად არიან, ოვით უსტი-

ნოვი 73 წლისაა. ჯარი არის ერთს და პარტიის კუთხილება, 80 - პროცენტი პარტიის წევრებია.

წითელ არმიას აქვს კიდევ ერთი უპირატესობა, არის პოპულარი და აღსაესეა სიამაყით.

ასე თავდება ეს პირველი ტომი, მეორე ტომში აეტორი გეპირდება გაგვაცნოს ამერიკის და ევროპის ჯარების ცეცხლის სიძლიერე და წითელი არმიის სუსტი მხარეები. ჩვენც აქ ვსამთ წერტილს მომავალი ტომის მოლოდინში, მხოლოდ ვიტყვით, რომ თვით ამერიკის პრეზიდენტი რეგანი არ უარყოფს, რომ რუსეთის საზღვაო ფლოტი უფრო ძლიერია ჩვენი ერთით - ორი არტილერია, ერთით - საიმი, ხოლო ტანკები ერთით - ოთხი, ჩვენ დავკარგეთ მოცილეობა და ჩამოვრჩით საბჭოთა რუსეთსო, და აცხადებს ძალთა წონასწორობის დამყარებას, ის ნაოტრონის ბომბებში ხედავს, კიდეც შეუდგა, როგორც ამბობენ მის ფაბრიკაციის, დასასრულს პრეზიდენტი დასძენს, რომ გათავდა ის დრო, როდესაც ყველა გამოლელ - გამომვლელი რუსეთის ჩათვლით ფეხებს იწმენდენ ჩვენზე და დაბალ ღობეთ ქვთვლიდენ.

ჩვენ ვეწამდა და ვვჯეროდა, რომ მეოცე საუკუნის დასასრულში მეცნიერება ივიღოდა მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ის იქნებოდა უაღრესად ჰუმანიტარული, კეთილშობილი, პროგრესული და ადამიანთა კეთილდღეობის პატიოსანი მსახური. ნეიტრონის ბომბის უპირატესობა ის არის, რომ ის არ იწვევს გალაქსების ნგრევასო, ყველა ნაგებობაში რჩებიან დაუზიანებელი. იხოცებიან მხოლოდ ადამიანები და ცხოველები, რომლებსაც უტანჯველად, უმტკიცნეულოდ ხდებათ სული, ერთი სიტყვით ისპობა სიცოცხლე. ამასთანავე ვეპირდებიან, რომ რამოდენიმე ასეთი ბომბი საქმარისია მოცსპოს კონტინანტზე მთლიანად ადამიანთა მოდგმაო. ეს არის ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურზე იყვანა, ჰუმანიზმი, კაცის მოვალეობა და მისი კეთილდღეობისათვის სამსახური. ნუ თუ ამას ვემზადებენ ჩვენი მართველები და ჩვენ ეს უნდა მიეკოლოთ მორჩილებით, უსიტყვოთ და გავხდეთ მათი გაუგონარი, აღმაშფოთებელი ველურობის თანამონაწილენი და ხელის შემწყობნი?!

1924 წლის აჯანყების დღე პარიზში

ოც სექტემბერს 1981 წელს პარიზის სათვისტომომ აღნიშნა ის დაიდი დღე, რომელიც ჩაიწერა საქართველოს სიღვარის მატიანეში. 1924 წლის აგვისტოს ხალხური აჯანყების სახელით დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ სამგლოვი არი დღეს მთელმა პარიზის ქართველობამ სიყარულით და მოწიწებით თავი მოიხარა იმ მებრძოლთა ხსოვნის წინაშე, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთავო თავისუფლების მოპოებისათვის, არც თავისი რაინდული ღვაწლიანი სიცოცხლე, და არც თავიანთი წმინდა სისხლი, რომელიც მათ ასე უხვად შეაპკურეს საქართველოს მეობის აღდგენას.

აჯანყების 57 წლის თავზე, დეკანოზ ილიამ ეკლესიაში შეასრულა ღვთის მსახურება, ყველა დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, შემდეგ მთელი ქართველობა შეიკრიბა ლევილის ძმათა სასაფლაოზე, სადაც დეკანოზ ილიამ აკურთხა ყველა საფლავები, რის შემდეგ ლევილის ქართულ მამულში გაიშალა სუფრა, რომელიც გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარებ ბატონმა ვიქტორ ხომერიამა, რომელმაც ილაპარაკა ფრანგულად, და ქართულ ად - ილაპარაკა ამ დღის მნიშვნელობაზე და მოუწოდა ყველის ცყვნენ ედთად და მხნედ. სიტყვები წარმოსოდეს: დეკანოზ ილიამ, ლევან ფალავამ, მიხეილ ხუნდაძემ, რომელმაც ამ დღესთან დაკავშირებით მიესალმა პოლონეთის წევა. დასასრულს სიტყვა წარმოსოდეს სიმონ ბლიაძემ და დამსწრე ახალგაზრდობის სახელით ნ. ჭავჭავაძემ.

თითქმის 60 წელია, რაც შენ დაგტოვეთ იძულებით ჩვენო ლამაზო ქვეყანავ. შენზე უმშვენიერესი, შენზე უსაყვარლესი და ძეირწავის ქვეყანა ჩვენ ვერსად ვნახეთ. მშვიდობით, გამომშვიდობება ეს ჯადოსნური სიტყვა! ივი გამოუთქმელ სილამაზეს აძლევს, რასაც ჩვენ სამუდამოდ ვემშვიდობებით. მაშ მშვიდობით, დაგშორდით ხორციელად, მაგრამ სულით - გონებით შენთან ვართ და გისურვებთ გამარჯვებას ქართველო მხნე ერო. თქვენ უსათუოდ მოიპოვებთ ნანატრ თავისუფლებას. სოქეა ლ. ფალავას თავის სიტყვაში.

დამსწრე.

საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნობის

10 მაის — 1981 წელს საფრანგეთში ჩატარდა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები.

პრეზიდან ეისეარ - დესტრენმა კელავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, რომელსაც დაუპირდაპირდა სოციალისტი ფრანსუა მიტერანი. გამარჯვება ამ უკანასკნელს ხდა. სამი კვირის შემდეგ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, თანახმად კონტიტუციისა გაუშვა პარლამენტი და მოახდინა ახალი არჩევნები.

სოციალისტებმა აქცი დიდი და გაუგონირი გამარჯვება მოიპოვეს, მიიღეს აფსოლუტური უმრავლესობა, რაც ის საშუალებას აძლევს მართოს ქვეყანა დამოუკიდებლად. დამახასიათებელია, რომ საფრანგეთის კომისიისტურმა პარტიამ განიცადა დიდი დამარცხება. მათი დეპუტატთა რიცხვი 80 - დან 40 - ზე დავიდა.

ს. ს. დ. - პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო უსურებეს წარმატებას, და ჩევნ მეორე სამშობლოს საფრანგეთს წინ სვლას, მშეიღობიანობას და ნიეთიერ კეთილდღეობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრის ნოე რამიშვილის დალუბვის 50 წლის თავზე, გადახდილი იქმნა პარიზის საზოგადოების მიერ, საექლესიო პანაშვიდი წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში. დეკანოზმა მელიამ წირვის შემდეგ წარმოსთქვა მეტად შინაასიანი და მგრძნობიარე სიტყვა.

დაიბეჭდა „ჩევნი დროშა“ (№ 96) რომელიც მთლიანად მიცდლენა განსვენებულის ხსოვნას.

გამოვიდა ალ. კარგარეთელის მოგონება „ქაქუცა ჩოლოუაშვილი“ ელიზბარ მაყაშვილის წინასიტყვით.

მიუხედავად აცტორის პირადი მოგონებებისა, წიგნი საინტერესო მასალას წარმოადგენს ეროვნული გმირის მიერ წარმოებული ბრძოლების შესასწავლად.

ს. ს. დ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტი მწუხარებით იუწყებს საზოგადოებას, რომ ლრმა მოხუცებულობაში, ამა წლის 30 ივლისს გარდაიცვალა პარტიის წევრი - კარგი პატრიოტი ლეონტი ბალანჩივაძე. დაიკრძალა ლევილის ძმათა სასაფლაოზე. ორგანიზაციის წევრები ძმურ სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ნაესავებს საქართველოშ.

გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გ. გვეტაძე. დასაფლავებული იქმნა ლევილის ძმათა სასაფლავოზე.

„ჩეენი დროშა“ თანაგრძნობას უცხადებს დამწუხარებულსა და მგლოვიარე რ. გვეტაძეს და მის ოჯახობას.


ნოე რამიშვილისადმი მიძღვნილ უურნალისათვის მიღებული შემოწირულებანი. (დასასრული)

კარლო ინასარიძე	200 გ.
ს. დონდუა	100
ბელგიელი მეგობარი	100
ლ. ნასყიდაშვილი	50
მ. სტურუა	30
გ. ბელ	20

„ჩვენი დროშის“ ფონდი.

ჯ. ხაბულიანის მიერ შეგროვილი	1500 გ.
შ. ხუნდაძე	300
კ. ინასარიძე	200
ბელგიელი მეგობარი	100
გ. ბარამიძე	100
ს. დონდუა	100
ლ. ნასყიდაშვილი	50
მ. სტურუა	30
გ. ბელი	20
გრ. წერეთელი	100
შ. აბაშიძე	100
ლ. ფალავა	100
ნ. ბერიშვილი	100
თამარ გოლომანი	100 დოლარი.

„ჩვენი დროშა“. — შემოწირულება გრძელდება, რეზა-ქცია დიდ მადლობას უცხადებს შემომწირველთ.





Gérant : Pr. Intskirveli

h-896